



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/63

ქ. თბილისი

31 ივლისი 2018

სტუ-ის ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშტატო განრიგში
ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 30 ივლისის №05-01/57 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 31 ივლისის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. სტუ-ის ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

- არსებული პროფესორის (400 სთ.) 31 ერთეული გაიზარდოს 8 ერთეულით და შეადგინოს 39 ერთეული;
- არსებული პროფესორის (200 სთ.) 14 ერთეული შემცირდეს 6 ერთეულით და შეადგინოს 8 ერთეული;
- არსებული ასისტენტ-პროფესორის (200 სთ.) 12 ერთეული შემცირდეს 1 ერთეულით და შეადგინოს 11 ერთეული;
- არსებული ასისტენტის (200 სთ.) 5 ერთეული გაიზარდოს 2 ერთეულით და შეადგინოს 7 ერთეული;
- არსებული მოწვეული პროფესორის (400 სთ.) 3 ერთეული შემცირდეს 1 ერთეულით და შეადგინოს 2 ერთეული;

- არსებული მოწვეული ასოცირებული პროფესორის (400 სთ.) 2 ერთეული გაუქმდეს;
 - არსებული მოწვეული უფროსი მასწავლებლის (400 სთ.) 13 ერთეული შემცირდეს 1 ერთეულით და შეადგინოს 12 ერთეული;
 - არსებული მოწვეული უფროსი მასწავლებლის (200 სთ.) 3 ერთეული გაიზარდოს 1 ერთეულით და შეადგინოს 4 ერთეული.
2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი განისაზღვროს 185 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში - 141 548,25 ლარით;
 3. ფაკულტეტის ბიუჯეტსა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: არაფინანსური აქტივების მუხლიდან 8 865 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში;
 4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე